ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

# განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაბულების დამტკიცების შესახებ“. დადგენილების პროექტის მიღების მიზანია სამსახურის დებულების გამგეობის სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის N 4 დადგენილებათან. დადგენილების მიღება არ იწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილების განხორციელებას.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი ვახტანგ მეფარიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებლი: ირაკლი კუჭავა

## დასკვნა

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”-დადგენილების თაობაზე**

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”-დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის სტრუქტურული ერთეულების დებულებების წარდგენა.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 24 დეკემბრის №107 დადგენილება – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

*ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში წამყვანი სპეციალისტი: ნინო ვაჩეიშვილი*